



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

16 სექტემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №281

თამაზ სალუქვაძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე და 39-ე მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარე თამაზ სალუქვაძე მივლინებულ იქნეს ქალაქ თბილისში წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად და საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მიმდინარე წლის 17 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურის და ურბანიზაციის კომისიის თავმჯდომარეს თამაზ სალუქვაძეს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძე